

მალხაზ თორია

მალხაზ თორია დაიბადა 1978 წლის 30 აგვისტოს სოხუმში. სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიისა და კულტურის კვლევების მიმართულებით. 2009 წელს ამავე უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო (PhD) დისერტაცია თემაზე „დროის აღქმა და ისტორიის კონცეფცია შუა საუკუნეების ქართულ კულტურაში (‘ქართლის ცხოვრების’ ისტორიოგრაფიული ტრადიციის მიხედვით)“. 2006-2008 წლებში, იგი ასწავლიდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2006-2010 წლებში იყო მეცნიერ-თანამშრომელი ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებაზე; 2008-2014 წლებში - ასისტენტ-პროფესორი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში; 2014 წლიდან დღემდე არის ასოცირებული პროფესორი და *მედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის* წევრი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2015 წლიდან ხელმძღვანელობს *მეხსიერების კვლევების კავკასიურ ცენტრს* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე.

მალხაზ თორიას სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის ისტორიული აზროვნება და დისკურსი შუა საუკუნეებისა და თანამედროვე საქართველოში; მეხსიერების პოლიტიკა, წარსულის ინსტრუმენტალიზაცია და კონფლიქტები პოსტ-საბჭოთა საქართველოში; რუსული და საბჭოთა იმპერიული მემკვიდრეობების როლი საქართველოში ეთნიკური და კულტურული ლანდშაფტის ჩამოყალიბებაში; თანამედროვე აფხაზეთში გამყოფი მიჯნების/საზღვრების, „განდევნის“ და ეთნიკური წმენდის პოლიტიკა; საქართველოს კონფლიქტური რეგიონებიდან დევნილების მეხსიერებები. იგი ამ ფართო და კომპლექსური პრობლემატიკის ცალკეულ ასპექტებზე მუშაობდა რიგი პოსტ-სადოქტორო და კვლევითი სტიპენდიების (DAAD, OSF, Fulbright, რუსთაველის ფონდი და სხვ) ფარგლებში ისეთ აკადემიურ დაწესებულებებში, როგორებიცაა Central European University (ბუდაპეშტი, უნგრეთი); Zentrum für Literatur-und Kulturforschung (ბერლინი, გერმანია), The New School for Social Research (ნიუ იორკი, აშშ), The Harriman Institute, Columbia University (ნიუ იორკი, აშშ); UC Berkeley (ბერკლი, აშშ), Mount Holyoke College (საუთ ჰედლი, აშშ), Humboldt University (ბერლინი, გერმანია). მის მიერ გაწეული კვლევის შედეგები აისახა სხვადასხვა აკადემიურ ფორუმებზე წარდგენილ მოხსენებებში, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციებში, მათ შორის, საერთაშორისო რეფერერებად გამოცემებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში.